ᲢᲣᲠᲘ. (საფრანგეთი), 18 დეკემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კრასილოვი გვატყობინებს: „ფრანგები ვიეტნამის მხარეზე არიან“, — ასეთი ლოზუნგით წარმართება მომავალ, 1968 წელს საფრანგეთის მშვიდობისათვის მოძრაობის მთელი საქმიანობა. ეს ლოზუნგი გუშინ დაამტკიცეს მოძრაობის ეროვნული ყრილობის დასკვნითს სხდომაზე ქალაქ ტურში. ყრილობაში მონაწილეობდა 750 დელეგატი, რომლებიც აქ საფრანგეთის ყველა ოლქიდან ჩამოვიდნენ.

დასკვნითი რეზოლუციის ტექსტში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მშვიდობის მომხრენი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის კამპანიაში და განაგრძობენ ბრძოლას ამ ქვეყანაში ამერიკის აგრესიის შეწყვეტისათვის.

1968 წელს საფრანგეთის მშვიდობის მოძრაობი აგრეთვე მტკიცედ გაიღაშქრებენ ევროპის კოლექტიური უშიშროებისათვის, იბრძოლებენ ძველ ევროპის ბაზრის ლიკვიდაციისათვის, რომ ადგილი დაუთმონ ევროპულ ეროვნულ ბაზრებს, ებრძოლებიან ნატოს ბაზების ლიკვიდაციისათვის, ებრძოლებიან ევროპაში ატომური ენერგიის ფეოდალურ-ბიუროკრატიული ბატონობის ლიკვიდაციისათვის, ებრძოლებიან ევროპაში ამერიკული კაპიტალის ბატონობის ლიკვიდაციისათვის.

ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 18 დეკემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატები ფარულ მანევრებს მიმართავს ათეულ და რომში საბერძნეთის ორი უკიდურესი მემარჯვენე პოლიტიკური ძალის — მეფის კარისა და სამხედრო ხუნტის შერიგების მიზნით.

რომაელ დიპლომატთა უმრავლესობის აზრით, აღნიშნავს გაზეთის რომაელი კორესპონდენტი გრუსონი, ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად მონაწილეობს შერიგების ღონისძიებებში. „არავის არ სჯერა, თითქოს ამერიკელი ელჩის რეინჰარდტის ვიზიტი ეიფელთან, როგორც ამას საბერძნეთის საელჩოს მოხელეები ამტკიცებენ, მხოლოდ „ძველ მეგობრების“ შეხვედრა ყოფილიყოს.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აგრეთვე იუწყება, რომ, როგორც კი ჩაიფუშა მეფის ცდა მოეხდინა კონტრგადატრიალება, ამერიკის შეერთებული შტატების ათენელმა ელჩმა პეტოტმა დიპლომატებს „დამყარა კონტაქტი“ ხუნტასთან, ეიზენჰაუერ პრეზიდენტმა ინტერნაციონალ ცნობით, ამერიკელი დიპლომატებისა და ხუნტის ეს მეჯლისი „კონტაქტები“ მიზნად ისახავდნენ „ქომაგრომისის“ მიღწევას.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, ამერიკის დიპლომატიის ნაჩქარევი მოქმედება იმით ახსნება, რომ სულ უფრო სულტანდება ხუნტის პოზიციები. გაზეთი აღიარებს, რომ მისი პოლიტიკური პოზიციები უფრო სულტია „ვიდრე მოსალოდნელი იყო“ და ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება ნაკარნახევია „ნატოს ინტერესებით“.

ᲐᲮᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კავშირის ქალთა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელითაც მსოფლიოს ქალებს, ქალთა საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებს, მსოფლიო საზოგადოებრიობას მოუწოდა ერთად იბრძოლონ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, იმისათვის, რომ ისრაელმა ოკუპანტებმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

ვერ შეეფერებიათ იმას, ნათქვამია განცხადებაში, რომ აგრესორები თავიანთი ექსპანსიონისტური პოლიტიკის განხორციელებისათვის მიმართავენ უკიდურეს ღონისძიებებს, ერეკებიან და ფიზიკურადაც კი ანადგურებენ არაბ მოსახლეობას. პრესის ცნობები, არაბ ქალთა წერილები, თვითმხილველთა ნაამბობი მოწმობენ, თუ რა უაღრესად მძიმეა ოკუპირებული რაიონების მოსახლეობის ხვედრი.

ოკუპირებულ არაბულ მიწებზე ისრაელის ჯარების შემდგომი ყოფნა უშუალოდ საფრთხეს უქმნის ახლო აღმოსავლთის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას, აძლიერებს დაძაბულობას მთელ მსოფლიოში, აღნიშნულია განცხადებაში.

ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲛᲐ ᲛᲝᲘᲬᲝᲜᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘ. 18 დეკემბერი. (საკდესი). ირანის მეჯლისმა მოიწონა საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმება კულტურული ურთიერთობის შესახებ. შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოაწერეს თეირანში 1966 წლის აგვისტოში, გათვალისწინებულია ორი ქვეყნის მეცნიერთა კონტაქტების გაფართოება. ირანი და საბჭოთა კავშირი გაცვლიან უფრო მეტ მხატვრულ და მეცნიერულ ფილმს, წიგნსა და ჟურნალს, მუსიკალურ ჩანაწერებსა და ხელოვნების საწარმოებთა გამოფენებს. მნიშვნელოვნად გაფართოვდება აგრეთვე ორი მეზობელი ქვეყნის სპორტული ურთიერთობა.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. 18 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტები ვ. კოლკოვი და ე. სავჩენკო იუწყებიან: ბელგიის კომპარტიის XVIII ყრილობამ, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა აქ, გუშინ სალამოს დაამთავრა მუშაობა. ყრილობის დელეგატებმა — ბელგიის კომპარტიის ყველა ფედერაციის წარმომადგენლებმა მოისმინეს და განიხილეს ბელგიის კომპარტიის თავმჯდომარის ე. ბიურნელის მოხსენება „კომუნისტები და ბრძოლის ამოცანები უახლოესი პერიოდისათვის“ მოიწონეს ეს მოხსენება და მიიღეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს იგი პრესაში.

შემდეგ ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს დასკვნითი რეზოლუცია პარტიის 1968 წლის ამოცანების შესახებ.

რეზოლუციის ავტორები მკაცრად გმობენ ბელგიის მთავრობის მისწრაფებას „მხარი დაუჭიროს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს, რომელთა იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე განუწყვეტლივ იზრდება იმის გამო, რომ ისინი განაგრძობენ ომს ვიეტნამში“, რეზოლუციის ავტორები აგრეთვე გმობენ მთავრობის პოლიტიკას, რომლის გამო ბელგია კვლავ მონაწილეობას იღებს ნატოში.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 18 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ზვანცოვი იუწყება: ტულუზაში გაიმართა რადიკალთა პარტიის ყრილობა. დელეგატებმა მოიწონეს დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის მიერ დასახული პოლიტიკური კურსი და ფედერაციაში შემავალ დაჯგუფებათა (სოციალისტური პარტიის, რადიკალების, რესპუბლიკური კლუბების) უფრო მჭიდროდ შეკავშირების გეგმა. ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია შექმნან მემარცხენე ძალების ერთიანი ოპოზიციური არაკომუნისტური ორგანიზაცია. პოლიტიკური რეზოლუცია აკრიტიკებს საფრანგეთის მთავრობის ახლანდელ კურსს, რომელიც „მუშებსა და უმცოლელთ აკისრებს დეფლაციის და მოდუნების ყველაზე მძიმე შედეგებს“.

რეზოლუციის ავტორები გმობენ აგრეთვე მთავრობის საგარეოპოლიტიკურ კურსს, „რომელსაც იზოლაციისაკენ მიჰყავს საფრანგეთი“. რადიკალებს აწუხებთ „სისტემატური მტრული განწყობილება შეერთებული შტატების მიმართ“, საჭიროდ მიაჩნიათ ევროპის განმტკიცება და ინგლისის მიღება „საერთო ბაზარში“, აკრიტიკებენ „ეროვნული დამოუკიდებლობის მოძველებულ კონცეფციას“, რომელსაც ადგანან საფრანგეთის ხელმძღვანელნი.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 18 დეკემბერი. (საკდესი). სენატორ იეჯინ მაკართის, რომელმაც დაასახელა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე, მხარი დაუჭირა „მშვიდობის, თანასწორობისა და პროგრესის ლოზუნგით წინასაარჩევნო კამპანიის მომწყობ კალიფორნიის დემოკრატთა კომიტეტმა“. ამ ორგანიზაციაში, რომელიც ოფიციალურად არ არის დაკავშირებული დემოკრატიულ პარტიასთან, ირიცხება 33 ათასი წევრი. იგი აქტიურად იბრძვის მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვს შეწყვიტონ ომი, მოითხოვს მიანიჭონ თანასწორი უფლებანი ზანგ მოსახლეობას და ქვეყნის სხვა ეროვნულ უმცირესობებს.

ᲛᲣᲨᲘᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲢᲣᲠᲘ. (საფრანგეთი), 18 დეკემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კრასილოვი გვატყობინებს: „ფრანგები ვიეტნამის მხარეზე არიან“, — ასეთი ლოზუნგით წარმართება მომავალ, 1968 წელს საფრანგეთის მშვიდობისათვის მოძრაობის მთელი საქმიანობა. ეს ლოზუნგი გუშინ დაამტკიცეს მოძრაობის ეროვნული ყრილობის დასკვნითს სხდომაზე ქალაქ ტურში. ყრილობაში მონაწილეობდა 750 დელეგატი, რომლებიც აქ

ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 18 დეკემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატები ფარულ მანევრებს მიმართავს ათეულ და რომში საბერძნეთის ორი უკიდურესი მემარჯვენე პოლიტიკური ძალის — მეფის კარისა და სამხედრო ხუნტის შერიგების მიზნით.

რომაელ დიპლომატთა უმრავლესობის აზრით, აღნიშნავს გაზეთის რომაელი კორესპონდენტი გრუსონი, ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად მონაწილეობს შერიგების ღონისძიებებში. „არავის არ სჯერა, თითქოს ამერიკელი ელჩის რეინჰარდტის ვიზიტი ეიფელთან, როგორც ამას საბერძნეთის საელჩოს მოხელეები ამტკიცებენ, მხოლოდ „ძველ მეგობრების“ შეხვედრა ყოფილიყოს.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აგრეთვე იუწყება, რომ, როგორც კი ჩაიფუშა მეფის ცდა მოეხდინა კონტრგადატრიალება, ამერიკის შეერთებული შტატების ათენელმა ელჩმა პეტოტმა დაიყოვნებლივ „დამყარა კონტაქტი“ ხუნტასთან, ეიზენჰაუერ პრეზიდენტმა ინტერნაციონალ ცნობით, ამერიკელი დიპლომატებისა და ხუნტის ეს მეჯლისი „კონტაქტები“ მიზნად ისახავდნენ „ქომაგრომისის“ მიღწევას.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, ამერიკის დიპლომატიის ნაჩქარევი მოქმედება იმით ახსნება, რომ სულ უფრო სულტანდება ხუნტის პოზიციები. გაზეთი აღიარებს, რომ მისი პოლიტიკური პოზიციები უფრო სულტია „ვიდრე მოსალოდნელი იყო“ და ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება ნაკარნახევია „ნატოს ინტერესებით“.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲣᲨᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 18 დეკემბერი. (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აცხადებს, რომ ამერიკელ აგრესორთა ბინძური ომი ვიეტნამში ამერიკელ ინტელიგენტებს, ხელოვნებისა და ლიტერატურის ადამიანებს, ეკლესიის ადამიანებს, ბევრ ადამიანს, ვინც სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძვის, ეკარგებინებინ ეროვნული ამაყობა.

ᲒᲐᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲤᲔᲗᲥᲐᲕᲡ

ᲒᲐᲡᲝᲤᲚᲘᲡ პრესა და სამედიცინო საზოგადოება დიდი უყურადღებით ადევნებენ თვალყურს ცნობებს კეიპტაუნიდან, სადაც ფეთქავს მსოფლიოში პირველი გადანერგილი გული.

თხუთმეტ დეკემბერს ლუი ვაშკანსკიმ როგორც იქნა დამოუკიდებლად გადადგა პირველი ნაბიჯები. ეს მოხდა მეთორმეტე დღეს მას შემდეგ, რაც ოპერაცია გაუკეთეს და 25 წლის ქალიშვილის დენნ დორვალის გული გადაუნერგეს. ვაშკანსკიმ პირველი ნაბიჯები გადადგა და აივანზე გავიდა. (თეორიულად ოპერაციის ავტორები თვლიან, რომ საშიში პერიოდი, რომლის დროსაც ორგანიზმს შეუძლია უარყოს უცხო სხეული, 14 დღეს გრძელდება). ამავე დღეს ლუი ვაშკანსკიმ რადიოთი ინტერვიუ მისცა ლონდონის რადიოსა და პრესის წარმომადგენლებს. მან თქვა, რომ შესანიშნავად გრძნობს თავს, რომ ბედნიერია, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა „მომავალზე ფიქრი“.

„ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘᲡ“ მკითხველებისათვის ალბათ საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ ლუი ვაშკანსკიმ დღემდე არ იცის, თუ ვისი გული გადაუნერგეს. ეს იმისათვის კეთდება, რომ დაიცვან იგი შესაძლებელი ემოციური რეაქციისაგან. ოპერაციასთან დაკავშირებით კეიპტაუნის უნივერსიტეტმა სპეციალური მედალი ჩამოასხა გულის გადანერგვის პირველი შემთხვევის სამახსოვროდ და პროფესორ კრისტიან ბერნარდს მიანიჭა.

პროფესორები კრისტიან ბერნარდი და მისი ძმა მარიუსი დარბი ფერმერის შვილები იყვნენ. ოჯახი ისეთ სიღუხჭირეს განიცდიდა, რომ ბავშვები იძულებული იყვნენ ფეხშიშველი ევლოთ სკოლაში. სამაგიეროდ მათ ადრე გამოავლინეს განსაკუთრებული ნიჭი და მამა დაუალავად შრომობდა იმისათვის, რომ ფული შეეგროვებინა, რათა შვილები სამედიცინო სასწავლებელში განეწესა. „ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ მამას“, — ამბობენ ძმები.

მომავალი 1968 წელი, აზრს გამოთქვამს პროფესორი კრისტიან ბერნარდი, შეიძლება გახდეს გულის დაავადებათა ჭირურგიული მკურნალობის ფენომენალური პროგრამის წელი.



პროფესორი კრისტიან ბერნარდი.

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲙᲐ

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ეპოქაში მიმდინარეობს გაფფრთვებული ბრძოლა კომუნისტურ იდეოლოგიასა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის. ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიზანია ჩაენერგოს ხალხს კაპიტალიზმის პროგრესულობისა და მუდმივობის იდეები, მაგრამ იგი ღრმა კრიზისს განიცდის.

ჩვენი პარტია გვასწავლის, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რევიზიონიზმისა და რეფორმიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც კლასობრივი ბრძოლა, ყოველთვის უნდა იყოს უკომპრომისო, რადგან ეს არის ბრძოლა ხალხთა მასების კეთილდღეობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის.

არსებული ვითარება საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან მოითხოვს ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიმართ შეურიგებლობას. მათი თეორიების სიყალბისა და ჭსუსურობის მხილებას, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ყოვლისმძლე იდეების სიწმინდის დაცვას.

სწორედ ამ მხრივ არის ყურადსაღები პროფესორ გ. ჭანუყვაძის მონოგრაფიული ნაშრომი „ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომია კრიტიკა“, ნაწილი II, რომელიც შედგება შესავლისა და ექვსი თავისაგან.

ავტორს მიზნად დაუსახავს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების — ნეოლიბერალიზმის დასავლეთევროპული სკოლების თეორიებისა და ეკონომიური პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი.

შრომის ავტორს სწორად აქვს გადაწყვეტილი მონოგრაფიის სტრუქტურა და მეცნიერული სიზუსტით არის დაცული საკითხთა ლოგიკური თანმიმდევრობა. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის ნაშრომში პირველად სრულყოფილ, ობიექტურ, ობიექტურ, ობიექტურ

დაუვიწყარი სახელი

აკადემიკოს ნ. ა. ყიფშიძის დაბადების 80 წლისთავის გამო

80 წელი შესრულდა საბჭოთა მეცნიერული და პრაქტიკული მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლის, გამოჩენილი კლინიკისტ-თერაპევტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნიკოლოზ ანდრიას-ძე ყიფშიძის დაბადებიდან.

გამოჩენილმა ექიმმა, მეცნიერმა, პედაგოგმა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ ნ. ა. ყიფშიძემ დრმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მედიცინის განვითარებაში.

ნ. ა. ყიფშიძის მოღვაწ-ობის თითქმის მთელი პერიოდი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობას ემთხვევა და ამდენად ის იყო აქტიური მონაწილე იმ დიდი მუშაობისა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ტარდებოდა საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და შრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა სისტემის ორგანიზაციის საქმეში.

ნ. ა. ყიფშიძის დაუღალავი და აქტიური მონაწილეობა საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების წარმართვის საქმეში, სამედიცინო კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში, საქართველოში მეცნიერული მედიცინის დანერგვა-განვითარებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და გაუმჯობესებაში, იყო შედეგი მშრომელთა ინტერესებისათვის მზრუნველობის და თავდადებისა, რასაც ნ. ა. ყიფშიძე ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს იჩენდა.

მშრომელი ოჯახიდან გამოსული, ფოსტის დაბალი მოხელის შვილი, იმდროინდელი დუხჭირი ცხოვრების მოწმე, უკიდურეს სიღარიბეში და ობლობაში აღზრდილი ნ. ა. ყიფშიძე უკვე ჭაბუკობაში ეზიარა რევოლუციურ იდეებს.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში 17-18 წლის ნ. ა. ყიფშიძე, თბილისის ვაჟთა 1 გიმნაზიის უფროსი კლასების მოსწავლე, გახდა პროგრესული იდეებით გატაცებულ მოწაფეთა წრის მონაწილე, რისთვისაც იყო დევნილი ოხრანკის მიერ.

1908 წელს გიმნაზიის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ ნ. ყიფშიძე კონკურსით ჩაირიცხა პეტერბურგის სამხედრო-საექიმო აკადემიაში, სადაც წარჩინებით სწავლასთან ერთად განაგრძო რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა.

მოწინავე იდეებით გატაცებული ახალგაზრდა სტუდენტი, რეაქციის მხრივ დევნის მიუხედავად, მონაწილეობდა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში, რისთვისაც დაპატიმრებულიც კი იყო.

ნ. ა. ყიფშიძემ 1914 წელს წარჩინებით დაამთავრა აკადემია და გაიგზავნა სამხედრო ექიმად არმიაში, სადაც იმსახურა 1918 წლამდე.

საქართველოში დაბრუნებისთანავე, 1918 წლიდან, დაიწყო მუშაობა თბილისის უნივერსიტეტის ახლადგახსნილ საექიმო ფაკულტეტზე შინაგან სნეულებათა კლინიკის ასისტენტად პროფესორ სპირ. ვირსალაძესთან და მალე გამოვიდა მეცნიერულ-კლინიკური მოღვაწეობის ფართო გზაზე.

დიდხანს და ნაყოფიერად მოღვაწეობდა ნ. ა. ყიფშიძე უმაღლესი სამედიცინო განათლების სასპარეზზე — განაგებდა შინაგან სნეულებათა კათედრის პედიატრიულ, სტომატოლოგიურ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სამკურნალო ფაკულტეტებს, ხელმძღვანელობდა თერაპიის კათედრას ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტში.

დიდ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ნიკ. ყიფშიძე მეტად ნაყოფიერად მუშაობდა მეცნიერულ საკითხებზე. მან მოკლე ხნის განმავლობაში გამოაქვეყნა ქართულ, რუსულ და დასავლეთ ევროპის ხალხთა ენებზე რამდენიმე შრომა, რომლებიც შეეხებოდა ნაწლავთა პარაზიტების შესწავლას. მან პირველმა საქართველოში აღწერა ნაწლავთა პარაზიტების იშვიათი ფორმები, საფუძვლიანად შეისწავლა ლამბლიოზის საკითხი და პარიზში მუშაობის პერიოდში, პასტერის სახელობის ინსტიტუტში, დეშინთან ერთად შეიმუშავა ამებიზა და ტრიქომონადების კულტურების მიღების მეთოდი.

ნიკ. ყიფშიძემ გამოაქვეყნა 70 სამეცნიერო ნაშრომი, რამდენიმე მონოგრაფია, სადაც განიხილავდა შინაგანი მედიცინის აქტუალურ საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკ. ყიფშიძის შრომები ღვიძლის მკურნალობის შესახებ, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების შესახებ, შინაგან დაავადებათა ახალი სამკურნალო საშუალებები მკურნალობის შესახებ და მრავალი სხვ.

ნიკ. ყიფშიძე ჩვენი ქვეყნის მრავალი სამეცნიერო ყრილობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე იყო. თერაპევტთა მე-18 საკავშირო ყრილობაზე მან წაიკითხა მოხსენება საპროგრამო საკითხზე — კუჭიდან სისხლის დენის და ქირურგიული მკურნალობის ჩვენებათა შესახებ, რაც მნიშვნელოვანი წვლილი იყო ამ საკითხის შესწავლაში. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი იყო ნიკ. ყიფშიძის შრომა თერაპევტის ონკოლოგიური სიფრთხილის შესახებ კუჭის კიბოს დიაგნოსტიკის საკითხში.

დიდ ყურადღებას უთმობდა ნიკ. ყიფშიძე საქართველოს კურორტების შესწავლის საქმეს. მან რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა ბახმაროს, კოჯორსა და ბორჯომს. კურორტ ბორჯომის შესახებ ნიკ. ყიფშიძის მიერ დაწერილი მონოგრაფია წარმოადგენს კურორტის ყოველმხრივ შესწავლის მიზნით ჩატარებულ საუკეთესო გამოკვლევას. ნიკ. ყიფშიძის მრავალჯერ გამოცემულ შინაგან სნეულებათა სახელმძღვანელოზე ალიზარდა ქართველ ექიმთა რამდენიმე თაობა.

დიდი დამსახურება მიუძღვის ნიკ. ყიფშიძეს როგორც სწორუპოვარ მკურნალს. როგორც ექიმი, ის დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ავადმყოფთა შორის, ისე ექიმთა წრეებში. ის ფართო საკონსულტაციო დახმარებას უწევდა მოსახლეობას როგორც საქართველოში, ისე მოძმე რესპუბლიკებში. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ის დაუღალავად იღვწოდა დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა გიჯანსაღების საქმეში და ფართო მუშაობას ეწეოდა ევაკოჰოსპიტლებში.

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ნიკ. ყიფშიძე ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას,

სსრ კავშირის II და III მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს წევრი, ექიმ-თერაპევტთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, მრავალი სამეცნიერო-სამედიცინო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი — აი ახეთი იყო ნიკ. ყიფშიძის საზოგადოებრივი მუშაობის ხასიათი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობაში და როგორც ლექტორი ხშირად გამოდიოდა ფართო აუდიტორიის წინაშე საინტერესო ლექციებით.

აკადემიკოსი ნიკ. ყიფშიძე დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, შრომის წოლელი დროშის ორდენით, „სპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ნიკ. ყიფშიძის — ცნობილი მეცნიერის, შესანიშნავი კლინიკისტისა და პედაგოგის, უმწიკვლო საზოგადო მოღვაწის სახელი დაუვიწყარია, ხოლო მის მიერ გაწეული შრომა ჭეშმარიტად მისაბაძია მომავალი თაობებისათვის.

გ. მხეიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გულგრფელი სიყვარულის გამოთვლინება

ასე შეიძლება ეწოდოთ საიუბილეო საღამოს, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ნოველისტის, ქართული ფსიქოლოგიური ნოველის ფუძემდებლის შოთა რაგვეისპირელის დაბადების 100 წლისთავზე. საღამოზე, რომელიც 16 დეკემბერს გაიმართა თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში, შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ქართველი მწერლები, ახალგაზრდობა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ს. ჯიღლიავმ. შოთა რაგვეისპირელის პოპულარობაზე, მის ნიჭზე, ბრწყინვალე ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ილაპარაკეს მწერლებმა დ. შენგელაიამ, რ. ჯაფარიძემ, ა. სულაკვერძა, ო. ჩხეიძემ, პროფესორებმა შ. რადიანმა და დ. ბენაშვილმა. საღამოზე გამოვიდა მწერალი ნ. ა. ყიფშიძე, ბოლოს — დუშეთის რაიონიდან ჩამოსული მასწავლებელი ი. ტონტორაშვილი.

დამსწრენი გულთბილად მიესალმნენ მწერლის ნაფოსკვებს, რომლებიც დარბაზში იმოფენილიყვნენ.

კვირას ქართველ მწერალთა ჯგუფი ეწვია შოთა რაგვეისპირელის სამშობლოს. დუშეთის რაიონის კულტურის სახლში შეიკრიბნენ მშრომელები, რათა პატივი ეცათ თავიანთი შესანიშნავი თანამემამულის ხსოვნისათვის.

საღამო გახსნა დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. მწიფურმა. მწერლის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა პროფესორმა დ. ბენაშვილმა.

შესანიშნავ ნოველისტზე ილაპარაკეს მწერლებმა ო. ჩხეიძემ, დრეკენტმა ა. ჩაჩიბაიამ, პოეტმა ა. ჯიმიშიერმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ი. ნონეშვილმა და სხვებმა. (საქ‌ფილი).

დავიცვათ ჩვენი გუნებების საუნჯე

საიუბილეო წელი ფინიშს უახლოვდება. ახალი წლისათვის მზადება მიმდინარეობს სასალბო მეურნეობის ყველა უბანზე. აკაციებენ გაწეული მუშაობის შედეგებს, სახავენ ღონისძიებებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ახალი წლისათვის ენმზადება ოვითეული ოჯახიც. აცხობენ მრავალნაირ ტკბილეულს, იპარაკებენ სურსათსანოვაგეს, ყველას სურს სავსე მაგიდით შეხვდეს ახალ წელს. პატარების გასახარებლად კი აწყობენ ნაძვის ხეებს. ეს ყველაფერი კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ცუდი იყო ის, რომ წლიან მანძილზე შვილივით ნაზარი წიწვოვანი ჯიშის ხეები ნადგურდებოდა. ჩვენი ბუნების მტრები ჯიშს იხ-ჭელეშებდნენ.

ეს მდგომარეობა დიდად დამაფიქრებელი შეიქმნა. 1958 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „წიწვოვანი ჯიშის კოროვნების და მწვანე ნარგავების საახალწლო ნაძვისხის დამზადების აკრძალვის შესახებ“. რესპუბლიკის მთავრობამ, როცა ამ დადგენილებას იღებდა, პატარები როდი დაივიწყა. სპეციალისტებს დავალა შეემუშავებინათ ხელოვნური ნაძვისხე, რომელიც ბუნებრივთან შედარებით უფრო ლამაზი და მოპირკეთებული იქნებოდა. ეს საკითხი მალე გადაწყდა. საწარმოებმა ათვისეს მისი წარმოება. სავაჭრო მაღაზიებში გაჩნდა სხვადასხვა ზომის ხელოვნური ნაძვისხეები. მოსახლეობა ამას მადლობით შეხვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დადგენილების მიღების შემდეგ მკვეთრად შემცირდა მწვანე ნარგავების განადგურება. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ცალკეული პიროვნებები, ჩვენი ბუნების მტრები, რომლებიც ოლი შრომით ფიქრობენ

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან ი. ჩოდრიშვილთან

◆

ცხოვრებას. კვლავ ჭურდულად ახერხებენ ხეების მოკრას და მათ რეალიზაციას. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ბუნების ამ მტრებთან ერთად დანაშაულნი არიან ის მშობლებიც, რომლებიც ნაქურდალ წიწვოვან ხეებს ყიდულობენ და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო გვერდს უვლიან ხელოვნურ ნაძვისხეს.

უველას უნდა ახსოვდეს, რომ ტუე ჩვენი საყვარელი საშობლოს სიდიდრეა, იგი ალამაზებს და ამშვენიერებს ბუნებას, იცავს მთის ფერდობებს ნიადაგის ჩამორეცხვისაგან, სასოფლო-სამეურნეო საკარგულებს მეწყერებისა და ღვარცოფებისაგან. ხელა უწყობს უმეი მოსავლის მიღებას, არეგულირებს ჰაერს, მავნე ქარებისაგან იფარავს სუბტროპიკულსა და სხვა ძვირფასა ტექნიკურ კულტურებს.

გაითვალისწინა რა ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის ტყის დიდი მნიშვნელობა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში სატყეო მეურნეობებმა გააშენეს 70 ათასზე მეტი ჰექტარი ტყე, აქედან უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე — 30 ათასი ჰექტარი. ამასთან ერთად დავიწყეთ წარსულში გადაჭარბებული ბრის შედეგად გამეჩხერებული, ძარადმწვანე ქვეტყეით დაფარული, ეროზიული ფერდობებისა და იმ ჭალებია გატყეიანება, რომლებიც წინათ ხშირი ტყით იყო დაფარული. უკანასკნელ წლებში მდინარეების მტკვრის, ალაზნის, მაშავერის, არაგვის, ქსნის და სხვათა ჭალებში 4.000 ჰექტარზე გავაშენეთ ვეიმვის კულტურები.

როგორც ვხედავთ, დიდი მუშაობა წარმოებს ხრეოკი ადგილების გამწვანებისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ცალკეული პირები, რომლებიც არას დაგიდევენ ხალხის შრომას, თვითნებურად ჭრიან საახალწლოდ წიწვოვანი ჯიშის მზარდ ხეებს, რითაც ფიანს აყენებენ ტყის კორომებსა და მწვანე ნარგავებს.

გასულ წლებში იყო შემთხვევები, რომ ბოროტი და უგულო ადამიანები ჩვენი ქალაქის ბაღებსა და პარკებში ჭრიდნენ წიწვოვანი ჯიშების ხეებს. მოჭრეს და გადატეხეს ძვირფასი და დიდი შრომით აღზრდილი წიწვოვანი ჯიშის ხეები — თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი' გზის გაყოლებით გაშენებულ ნარგავებში. ძალიან დიდი რაოდენობით გაჩეხეს ხეები ვაჩნიანს, ჯანდარისა და სხვა უბნებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 8 დეკემბრის დადგენილება „გავაძლიეროთ წიწვოვანი ჯიშის კოროვნებისა და მწვანე ნარგავების დაცვა“ დიდად დაგვეხმარება აქტიური ბრძოლა გამოვუცხადოთ ჩვენი ბუნების მტრებს. ყველა სატყეოსა და ადგილსაც სადღეღამისო მორიგეობა. ამ საქმეში დიდად გვეხმარებიან რაისაბჭოებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომები.

მივაღწევთ იმას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გარეწარმა ვეღარ აღმართოს ცული ბუნების საუნჯის და ძვირფასი სამკაულის — წიწვოვანი კოროვნებისა და ნარგავების გასაჩეხად.

შევიძინოთ ხელოვნური ნაძვისხეები, გავუფრთხილდეთ ჩვენი ბუნების საუნჯეს.



44,5 მილიონი მგზავრი

თბილისელების ცხოვრებაში საკმაოდ იკიდებს ფეხს ტრანსპორტის ახალი სახე — მეტროპოლიტენი. ამას ამტკიცებს ხალხის სიმრავლე, რასაც ყოველდღიურად მეტროს სადგურებსა და ცისფერი ეკსპრესების ვაგონებში ვხედავთ.

— მეტროპოლიტენს რამდენი მგზავრი გადაკაყავა დღეში? — აი რა უპასუხა ჩვენს კორესპონდენტს ამ კითხვაზე მეტროპოლიტენის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ვ. ბაბნიძემ:

— თუ ჯერ კიდევ მეტროპოლიტენის პირველი რიგის მეორე უბნის გახსნამდე ჩვენი სადგურების გამტარუნარიანობა დღეში საშუალოდ 50 ათას კაცს შეადგენდა, სამი ახალი სადგურის — „ლენინის მოედნის“, „26 კომისრისა“ და „300 არაგველის“ მწყობრში ჩადგომამ საგრძნობლად გაზარდა ეს რაოდენობა — მგზავრთა ნაკადმა სამჯერ და უფრო მეტად იმატა; ისე რომ ცისფერ ეკსპრესებს დღის განმავლობაში ახლა უკვე საშუალოდ 150 ათასზე მეტი მგზავრი გადაკაყავთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სადგურების აშენებამ დიდად შეამცირა მგზავრთა გადასაყვანი ხარჯები.

მალე ჩვენი მეტროპოლიტენი ორპოდამეზუთე მილიონ მგზავრს გადაიყვანს. მისი გახსნის დღიდან კი სულ ჯადაყვანილია 44,5 მილიონზე მეტი მგზავრი.

ნ. ხიმშიაშვილი.

ᲮᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲜᲔᲖᲔ

სოფელ დირბის (ქარელის რაიონი) მცხოვრებლები ღიდ გაჭირვებას განიცდიდნენ უხიდობის გამო. მდინარე ფრონე გაზაფხულსა და შემოდგომაზე ისე ადიდდება და აზიერდება ხოლმე, რომ შეუძლებელი ხდებოდა მეორე ნაპირზე გადასვლა, ხის ხიდებს კი როგორც ზეუბანში, ისე ქვეუბანში მოხვეტავდა და მტკვრისაკენ მიაქანებდა.

ასრულდა დირბელთა დიდი ხნის ოცნება. მდინარე ფრონეზე აგეს რკინაბეტონის ღამაზი ხიდი.

ხ. ხათაშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ოქტომბერ-ნოემბერში იტალიის ორ დიდ ქალაქში რომსა და მილანში მიმდინარეობდა საბჭოთა ფილმების კვირეული, რომელიც მოაწყო იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ. კვირეულში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი ქვეყნიდან გაემგზავრა საბჭოთა კინომუშაკების დელეგაცია სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მინისტრის მოადგილის ჟ. გოლოვნიას ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლეილა აბაშიძე და რსფსრ დამსახურებული არტისტი ტატიანა დორონინა.

საბჭოთა დელეგაციამ იტალიელი მაყურებლისათვის საჩვენებლად წაიღო ფილმები „ანა კარენინა“, რომლის პრემიერაც პირველად იტალიაში გაიმართა, „მათ არ უნდოდათ სიკვდილი“, „უფროსი და“, „ქალაქი №...“, „შეხვედრა მთაში“, „ედგარი და ქრისტინა“, „ქოლგა“, აგრეთვე რამდენიმე ძველი საბჭოთა ფილმი.

ამ დღეებში კინომუშაკთა დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ხუბულური შეხვდა კინომსახიობს ლეილა აბაშიძეს და მიმართა რამდენიმე კითხვით.

— პირველ რიგში გვაინტერესებს, როგორ მიმდინარეობდა საბჭოთა ფილმების კვირეული, როგორ მიიღეს ჩვენი ფილმები იტალიელმა მაყურებლებმა?

— ეს იყო ჩემი მეორე გამგზავრება იტალიაში. პირველად მსოფლიო კულტურის ამ უძველეს ქვეყანაში ვიყავი ათი წლის წინათ, იმ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, როცა იტალიაში პირველად მოეწყო საბჭოთა ფილმების ფესტივალი. მეორედ ჩასვლისას ისეთი გრძნობა მქონდა, რომელიც მაშინ გეუფლება, როცა ელი ნაცნობი ადგილების ნახვას, შენთვის ცნობილ ადამიანებთან შეხვედრას.

საბჭოთა კინოფილმების კვირეული ერთ-ერთი იმ ღონისძიებათაგანი იყო, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ. მიუხედავად იმისა, რომ იტალიის მთავრობისტო ელემენტები ჩაშალათ საბჭოთა ოლტურის ზეიმს, ჩვენს თანამებს მაინც დიდი წარმატება ხვდა, რომისა და მილანის დიდი კინოთეატრების მაყურებლებთან ყოველთვის ხალხით იყო გაჭედილი. ყოველი ფილმის დაწყების წინ ჩვენ გამოგვიცხადეთ მაყურებელთა ენაზე, ვესაუბრებოდით მათ, ვაწყობდით რამდენიმე წუთიანან სიუჟეტს ჩვენი ხელოვნების მიღწევების შესახებ. შემდეგ კი იწყებოდა ფილმის დემონსტრირება.

გულთბილად მიიღო მაყურებელმა „ანა კარენინა“, ასევე წარმატება ხვდა „ქოლგას“, ნ. სანინაშვილის „შეხვედრას მთაში“, „უფროს დას“ და სხვა ფილმებს.

— თქვენ მეორედ იყავით იტალიაში. ხომ ვერ გვეტყვით, რა სიახლეა იტალიის კინოხელოვნებაში.

— მოგახსენებთ მხოლოდ ჩემს შთაბეჭდილებებს. აქ არ მომყავს არც კინოკრიტიკოსების შეხედულებანი ამ საკითხზე, არც ვინმე ცნობილი პიროვნების აზრი. ათი წლის წინანდელი პროგრესული იტალიური ხელოვნება დღეს ერთგვარ კრიზისს განიცდის. ამისი პირმშარიტი დადასტურებაა იტალიის ეკრანებზე ამერიკული ფილმების მოზღვავება. თუმცა „ია-ია“ მაინც წაწყდებით უღრესად საინტერესო, ესთეტიკურად სასიამოვნო მხატვრულ ფილმებს. ამ მხრივ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ანტონიონი მიქელანჯელოს ფილმმა „მსხვილი პლანი“, სადაც მისთვის ჩვეული განზოგადების ხერხებით ნაჩვენებია უკიდურესი უიმედობისა და სიმარტოვის განცდა.

— თუ გჭონდათ შეხვედრები იტალიური კინოს ცნობილ მოღვაწეებთან, კერძოდ, სოფი ლორენთან, ჯინა ლოლობრიჯიდასთან და სხვებთან?

— ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, რასაკვირველია, ძალიან საინტერესო იყო შეხვედრები ჩემს კოლეგებთან, მით უმეტეს, რომ ბევრ მათგანს პირადად ვიცნობდი. სამწუხაროდ, ვერ შეხვედი ჩემს საყვარელ მსახიობს სოფი ლორენს, რომელიც დიდად გახდომასთან დაკავშირებით შვეიცარიაში იყო წასული. როგორც იტალიური გაზეთები აღნიშნავდნენ, სოფი ლორენი გაიქცა პოესის ხმაურს და ამიტომ სხვა ქვეყანას მიაშურო.

ვერც ჯინა ლოლობრიჯიდა ვნახე. ის გადაღებაზე იყო წასული. მაგრამ შეხვედრები მაინც საინტერესო გვქონდა.

იტალიის კინემატოგრაფისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ მონაკომ ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად გამართა ბანკეტი, სადაც მოწვეული ჰყავდა იტალიური კინოხელოვნების ვარსკვლავები. აქ გაიცანი იტალიაში საკმაოდ პოპულარული მსახიობი ნინო მანფრედი, რომელსაც ჩვენი მაყურებელი იცნობს კინოფილმით „წმინდა ინუარის დღესასწაული“. ნინო მანფრედის ჩემი თავი რომ წარუდგინეს, მან მომიმღერა „ჭრიჭინას“ სიმღერა. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა — როგორ ახსოვდა მანფრედის „ჭრიჭინას“ სიმღერა“, ეს ფილმი ხომ ათი წლის წინ უჩვენეს იტალიაში, ჩვენი პირველი კინოფესტივალის დროს, — ვფიქრობდი მე. გამოირკვა, რომ საბჭოთა კინოფილმების კვირეულის წინ იტალიის ტელევიზიას მოუწყვია



ჩვენი ფილმების დეკადა. ნაჩვენები იქნა ფილმები „მიფრინავენ წერაროები“, „ბალადა ჯარისკაცზე“, „ჭრიჭინა“, „ჯარისკაცის მამა“, „ქორწილი“ და სხვ.

ჩვენს დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა საბჭოთა მაყურებლებისათვის კარგად ცნობილ რეჟისორთან ჯუზეპე დე სანტისთან, მსახიობ კლაუდია კარდინალესთან, რომელსაც ქართველი მაყურებლები იცნობენ ფილმებით „ბუბეს საცოლე“, „როკო და მისი ძმები“. საინტერესო საუბარი გვქონდა დრამატურგ ძანატინისთან, რეჟისორ კასტელანისთან და იტალიის სხვა კინომუშაკებთან.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის მეგობრობის საზოგადოება გვიწყობდა შეხვედრებს, ზოგჯერ პირდაპირ სცენიდან გვქონდა გასაუბრება მაყურებლებთან. აი ასეთ შეხვედრებში ეიგრძენით იტალიელთა განუზომელი ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი.

— ალბათ, დაათვალიერებდით იტალიის ღირსშესანიშნაობებს ძველებს. განსაკუთრებით რა მოგეწონათ? რამ დატოვა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება?...

— ძნელია რაღაც გამოაყო ნახულიდან და განსაცდელიდან იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ყოველ ქვას თავისი ისტორია აქვს, სადაც ყოველი ქალაქი ხელოვნების ტაძარია, სადაც ყოველ ნაბიჯზე გაცვიფრებს ადამიანის შემოქმედების სიდიადე!..

მე მჭირდა ბედნიერება საკუთარი თვალით მენახა ლეონარდო დავინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის, ტიციანის, ჯოტოს და რენესანსის სხვა ტიტანების ნაწარმოებთა ორიგინალები, ენახე ქოლოზეის ნანგრევები. ეს უძველესი ამფითეატრი, რომელიც პირველ საუკუნეშია აშენებული, 50.000 მაყურებელს იტევდა. გაგაგიჟებ მსოფლიოში თავის სიდიდით ცნობილმა წმიდა პეტრეს ტაძარმა, რომლის სიმაღლე 180 მეტრს აღწევს. ჩვენ ენახეთ მილანის ტაძარი. მის შესანიშნავ არქიტექტურას 2.000-ზე მეტი ქანდაკება ამკობს.

როცა ყოველივე ამას ნახავთ, გაგაოცებთ ერთი რამ: ეს ფასდაუდებელი ისტორიული ღირებულებანი, არქიტექტურის, ქანდაკებისა და ფერწერის გენიალური ძეგლები მუზეუმის კედლებში მომწყვდეულნი და ჩარჩოებში ჩასმული ეწესონატების შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, არამედ იტალიური ქალაქის, მისი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბომბეინ. ამ უძველესი ქალაქის ტრაგიკული ბედი ბევრისთვის არის ცნობილი, მაგრამ ქალაქის ნახვას, რომელიც ისეთივე სახით აქვთ აღდგენილი, როგორც ეს სტენერი უბედურების წინ მოხდა, ადამიანი ერთგვარად წარსულ საუკუნეში გადაჰყავს.

ბევრი რამ შეიძლება გავიხსენოთ იტალიაში მოგზაურობიდან, მაგრამ სივრცეთა მეტი ჩამოთვლა შორს წავიყვანდა.

საბჭოთა კინომუშაკებს ბევრი სურათი გადაეცა იტალიელმა კორესპონდენტებმა. აი ერთი მათგანი. (სურათი მაღლა) ფოტოზე აღბეჭდილი ვართ ტ. დორონინა და მე. ეს გაზეთი კი (სურათი მარცხნივ) სულ ახლახან მივიღე. გაზეთში დაბეჭდილია ინტერვიუ საბჭოთა დელეგაციის მეთაურთან. ფოტოსურათზე გამოსახული ვართ მე, მსახიობი ნინო მანფრედი და ტატიანა დორონინა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

მოგვითხრობს საქართველოს სსრ სახალხო • არტისტი ლეილა აბაშიძე •

ბ. ლარსენმა თავისი გაიტანა

მალიორკის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელი ტურის წინ **ლარსენს, ბოტვინიკსა** და **სმისლოვს** 12-12 ქულა ჰქონდათ, მაგრამ უკანასკნელ ტურში **ლარსენმა** დაამარცხა ესპანელი **კორალი**, ხოლო **ბოტვინიკი** და **სმისლოვი** ყაიმს დასჯერდნენ **ივანოვთან** და **გლიგორიჩთან** შეხვედრებში.

ამრიგად, დან�eული გროსმაისტერმა **ბენტ ლარსენმა** 13 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე და მესამე ადგილები 12,5-12,5 ქულით გაიანაწილეს **მ. ბოტვინიკმა** და **ვ. სმისლოვმა.**

სტრელციოვის ნაღაველი

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი საფრანგეთიდან სანტ-იაგოს ეწვია და იქ **საერთაშორისო მატჩი ჰქონდა ჩილეს ნაკრებთან.**

ტაიმი დამთავრდა ფრედ 1:1. ორივე გოლი **გაიტანეს** მასპინძლებმა. **მეორე ნახევარში სტრელციოვმა** სამი ბურთი **გაიტანა.**

საბჭოთა ნაკრებმა მოიგო მატჩი ანგარიშით 4:1.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — კუზნეცოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, ხუროილავა, ანფონინი, მასლოვი, საბო, მალოფეევი, სტრელციოვი, ბანიშევსკი, ჩისლენკო.

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲨᲘ

◆ **სოფიაში** მიმდინარეობს ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი. გათამაშდა 7 ტური. ლიდერის — რანეიოს 6 ქულა აქვს.

◆ **ხარკოვში** **მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე** გათამაშდა 7 ტური. ლიდერია **მ. ტაიმანოვი, რომელსაც 6 ქულა აქვს. ბურგენიძეს 5 ქულა აქვს, შბილავასა** და **იზეოზჩიკოვს — 4,5-4,5 ქულა.**

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა **გუნდების საკავშირო ჩემპიონატის** მორიგი მატჩი. თამაშობდნენ **კიევის „სტროიტელისა“** და **თბილისის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 70:62 „სტროიტელის“ სასარგებლოდ.**

ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

რიგაში დამთავრდა პირველი საერთაშორისო **შეჯიბრება სამბოში.**

საბჭოთა მოჭიდავეები **ადამეულობით იბრძოდნენ და ორვაგ წონაში პირველი ადგილი დაიკავეს. აი გამარჯვებულები — ხ. რუზიბაევი, ნ. კოზეკინი, ფ. მარგიანოვიანი, ლ. ტრუმანი, ბ. ველიკინინი, გ. კოტიკი, ვ. კარდიკოლოვი, ვ. საულინი.**

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲑᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

◆ **ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ.** მოსკოვის დინამოელებმა ვენესუელის დედაქალაქში დაამარცხეს ფეხბურთელთა ადგილობრივი საკლუბო გუნდი — „დეპორტივი პორ